



თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

დადგენილება №36

23 მარტი 2018 წ.
ქ. თელავი

ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის №33 დადგენილების „ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრების დამადასტურებელი დოკუმენტის - მოწმობის ფორმისა და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ და თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 თებერვლის №16 დადგენილების „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმისა და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის №33 დადგენილება „ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრების დამადასტურებელი დოკუმენტის - მოწმობის ფორმისა და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 01/10/2014, 430210000.35.176.016033).

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 თებერვლის №16 დადგენილება „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმისა და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 06/03/2015, 010250050.35.163.016255).

მუხლი 3

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე
საკრებულოს თავმჯდომარე



არჩილი თხლაშიძე